შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№GOG/D/G/1067-2016

ქ. თბილისი

13 ივნისი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ჯუანშერ ბურჭულაძის სახით და მეორეს მხრივ შპს „ზიმო" (შემდგომში - ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზურაბ კიკნაძის სახით, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 ივნისის #1067 განკარგულებით გათვალისწინებული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (SMP160001519), ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

1.ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" - იურიდიული/ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში

1.6 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს შავი ზღვის შენაკად მდინარეში ნატანებში არსებული ატივნარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობები თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი),წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #1 (ტექნიკური დავალება) გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

2.2 ნარჩენების დამჭერი მოწყობილობა -საორიენტაციო მოცულობა 200 გრ/მ;

2.3 კლასიფიკატორის კოდი: 42996500 - ჩამდინარე წყლების ფილტრები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება მიმწოდებლისთვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადისა (მათ შორის დღგ-ს ჩათვლით) და თანმდევი მომსახურების ღირებულების ჩათვლით შეადგენს 124230 (ას ოცდაოთხი ათას ორას ოცდაათი ლარი) ლარს, (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

3.2 საქონლის (თანმდევი მომსახურებით) ერთეულის ფასი დღგ-ს ჩათვლით შეადგენს 621,15 (ექვსას ოცდაერთი ლარი 15 თეთრი) ლარი.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1. საქონელისა და თანმდევი მომსახურების აღწერილობა და მახასიათებლები მოცემულია ხელშეკრულების დანართში #1 (ტექნიკური დავალება), რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

5. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

5.1 საქონლის მიწოდება (თანმდევი მომსახურებით) უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების ხელმოწერიდან 40 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 საქონლის მიწოდებისა და მონტაჟის ადგილი: მდინარე ნატანები.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1.საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
6.2.შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი არის სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის ინჟინერი - მიხეილ შალიკაშვილი.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.
7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.
7.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად.
7.4. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე, დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.1.1. შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა;
8.1.2. მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;
8.1.3.კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;
8.1.4. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან;

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში
უზრუნველყოს „მიმწოდებლის" დროული და სრული დაფინანსება.
8.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9. მხარეთა უფლება

9.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:

9.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

9.2 შემსყიდველს უფლება აქვს:

9.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.
9.2.2 უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით,

სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

11.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
11.2 წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
12.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების შეწყვეტა

15.1 ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

15.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

15.1.2 ხელშეკრულების 14.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

15.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

16. ინსპექტირების პირობები

16.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულების 16.1. პუნქტით გათვალისწინებული პირის ფუნქციებია:

16.2.1. მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

16.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების აქტის შედგენა;

16.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება;

16.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მშენებლობის ზედამხედველობის სამსახურის ინჟინერი - მიხეილ შალიკაშვილი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

18. განსაკუთრებული პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

18.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,შემსყიდველთან" ერთი ეგზემპლარი ,,მიმწოდებელთან"

"შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
სსიპ საქართველოს მუნიციპალური	**შპს „ზიმო"**
განვითარების ფონდი	ს/კ211 338 015
ს/კ 206074193	თბილისი, მიცკევიჩის ქ. 25ბ
ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზირი N150	ტელ: 032 2622232
სახელმწიფო ხაზინა;	ს/ს საქართველოს ბანკი
ხაზინის ერთიანი ანგარიში;	ბანკის კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი: TRESGE22;	ა/ა: GE81BG00 0000 0156 4426 01
ჯუანშერ ბურჭულაძე	ზურაბ კიკნაძე
აღმასრულებელი დირექტორი	გენერალური დირექტორი

დანართი #1

ტექნიკური დავალება
მდინარე ნატანებში არსებული ატივნარებული ნარჩენების დამჭერი მოწყობილობების თანმდევი მომსახურებით (მონტაჟი) შესყიდვის შესახებ

საქონლის აღწერილობა:
დამჭერი წარმოადგენს რეზინის ბაფთას, რომელსაც ორივე მხრიდან დამაგრებული აქვს პოლიეთილენის ტივტივები. ბაფთის ვერტიკალურობას უზრუნველყოფს სპეციალური სიმძიმეები (ტყვია ან ჯაჭვი). კონსტრუქცია მოქნილია, რის გამოც ის მოძრაობს მდინარის დონის მატება-დაკლებასთან ჰარმონიაში და აკავებს მდინარის ზედაპირზე მცურავ ნებისმიერ ნარჩენებს, მათ შორის ნავთობპროდუქტებსაც.

თანმდევი მომსახურება:
მდინარის ორივე ნაპირზე უნდა დამონტაჟდეს დამჭერი მდინარის მიმართ მახვილი კუთხით, რაც იძლევა საშუალებას, რომ ნარჩენებმა თავი მოიყაროს ერთ ადგილას, საიდანაც მოხდება მათი ამოღება და გატანა ნაგავსაყრელზე.

მდინარის მახასიათებლები

მდინარე ნატანები წარმოადგენს შავი ზღვის შენაკადს. იგი სერიოზულ გავლენას ახდენას სანაპირო ზოლის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე, ვინაიდან გააჩნია შედარებით დიდი წყალშემკრები აუზი (დაახლოებით 469 კვ. კმ) და გაედინება მოსახლეობის მიერ ინტენსიურად ათვისებულ ტერიტორიებზე. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ ატივტივებულ ნატანთან (ნაგავთან) ერთად, წყალდიდობების პერიოდში მას ჩამოაქვს ნაგლეჯი ხის მასალაც.

211338015

საქართველოს მთავრობის
განკარგულება

№1067 2016 წლის 9 ივნისი ქ. თბილისი

სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფუძნების, სამეთვალყურეო საბჭოს განსაზღვრისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ოქტომბრის №558 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა უზრუნველყოს:

ა) შავი ზღვის სანაპიროს დაბინძურების საწინააღმდეგოდ გასატარებელი ღონისძიებების ფარგლებში, შავი ზღვის შენაკად მდინარე ნატანებში არსებული ატივტივებული მყარი ნარჩენების დამჭერი მოწყობილობის შესყიდვა;

ბ) ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდისათვის დამტკიცებული

„საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი პროექტები“ ქვეპროგრამით (პროგრამული კოდი: 25 03 01) განსაზღვრული ასიგნებებიდან;

გ) სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ამ განკარგულების „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**